# იმერეთი

№ 8

ᲬᲚᲘᲜᲐᲓᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ. (წლიწადი მეოთხე.)

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“

პარასკევი 16 იანვარი 1915 წ.

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] უძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., [illegible] კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., [illegible] 7 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.



6 იანვრიდან გამოდის ყოველდღიური

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „იმერეთი“.

გაზეთი გამოდის ყოველდღე გარდა კვირა-უქმეების შემდეგი დღეებისა.

**გაზეთი ღირს:**

1 წლ.—7 მ. 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მ. 10 შ., 1 თვით—4 აბ. საზღვარგარეთ—ორჯერ მეტი. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება: გამოწერის დროს 3 მ. 1 აპრილს 2 მ. და 1 ივნისს 2 მ.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქუჩა, სახლი შ. ი. გოკიელისა.

**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:** Кутаисъ, Редакція „ИМЕРЕТИ“.

რედაქციის კანტორაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება დილის 10—2 საათ., საღამოს 6—8 საათამდი.

რედაქცია სთხოვს კორესპონდენციების ავტორებს სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე გარკვევით. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. მისამართი: Кутаисъ, ред. „Имерети“ почт. ящ. № 39.


მეუღლე თეო მეთოდეს ასული შვილებითურთ, დედ-მამა მანუჩარ და მეუღლე მისი თაოდენა ბეჟანის ასული, და კაკელა და ძმა ვასილ მანუჩარის ძე ცოლშვილით—ჭანტურიძეები, აცნობებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პარასკევს, 16 იანვარს, საფიჩხიის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა, პანაშვიდი გამოტირილი

**სეილან მანუჩარის ძის ჭანტურიძის**

სულის მოსახსენებლათ.

1—1—8

კნეინა დესპინე ერისთვის ასული აგიაშვილისა, ბარბარე და სალიმან დავითის ასულნი კნ. ნიჟარაძეებისა, ელენე ლოლობერიძისა, ალექსანდრე და გიორგი დავითის ძენი წულუკიძენი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი დაუვიწყარის და ძვირფასის მეუღლის, ხოლო დანარჩენების საყვარელი ბიძის.

**თ-დ სიმონ ბებეს ძის აგიაშვილის**

გადაცვალებას. გამოსვენება ცხედრისა მოხდება შაბათს, 17 იანვარს, პირველ საათზე პეტრეპავლეს ეკლესიიდან და წაასვენებენ ს. ტყაჩირში დასაკრძალავათ.

1—1—8


## ქუთაისი.

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიამ

**დაბეჭდა და გამოსცა გასაყიდათ**

## საქართველოს ისტორია,

მოკლე სისტემატიური კურსი მოზრდილთათვის. უუძველესი და ძველი ისტორია საისტორიო ქარტით. შედგენილი ს. რ. გორგაძის მიერ. ფასი ყდით 35 კაპ. საწყობი იმყოფება ქუთაისში—გამომცემელთან, თფილისში ქ. შ. წ. კითხ. გამ. საზოგად. მაღაზიაში. თ.

**უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია**

## კ. ი. ოცხელისა და ამხ. ქუთაისში

**ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.**

**კ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში** მოიპოვება ყოველგვარი **სახელმძღვანელო** და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე **კალენდრები 1915 წლის:** ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები, გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის **ომის ქარტები** დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი.

გვერდით გამართულია **ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა**, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო და საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ. თ.

ს. ს. **ი. გოკიელის** შ-ვის ქუთაისში

ერთადერთი წარმომადგენელი მთელი ამიერკავკასიის ცნობილი

## აბრეშუმის ჭიის თესლის

## ხ. ხრისტოდულიდის

ამით აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ

**ახლო მომავალში დაიწყება დაკვეთა ზემოაღნიშნულ ფირმის აბრეშუმის თესლზე.**

**ფასი და პირობები ცალკე გამოცხადებული იქნება.** თ.

## ქალთა ოთხკლასიანი პროგიმნაზია

## მ. ზ. კვინიხიძის.

## უფლებებით.

თფილისის ქუჩ. და ობორინის შესახვევში კუთხე. მოწაფეების მიღება დაიწყო 12 იანვრიდან. სწავლის ფასი უფლების გამო არ მომატებია. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სასწავლებელს აქვს საანბანო განყოფილებაც, რომელშიც მიიღებიან მოუმზადებელი ბავშები. თ. 7.

## ქუთაისში

**[illegible]-გაზეთების კანტორა**

## „[illegible]“

აუწყებს პატივცემულ მკითხველ საზოგადოებას, რომ წარსულ წლის 21 დეკემბრიდან მას გაეფიცნენ და გაიქცენ მეგაზეთეები **მიხა ჭეიშვილი** და **კირილე კუჭუხიძე** რომლებმაც **გაიტაცეს** კანტორის გაზეთების ფული **ოთხმოცდა თოთხმეტი მან.** იმათ მუშტრებს შეუძლიათ ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები მოიკითხონ თვით კანტორაში ბულვრის პირდაპირ და თეთრ ხიდთან ს. ალიხანოვის მაღაზიაში.

კანტორა ძველებურათ განაგძობს სარედაქციო ფასებში **ხელის მოწერის მიღებას** კავკასიის და სატახტო ყოველგვარ **ჟურნალ გაზეთებზე.**

კანტორა იღებს აგრეთვე ყოველგვარ **განცხადებებს** გაზეთებში დასასტამბათ და **საქმის ქაღალდებს** საწერ მანქანებზე **გადასაწერათ**

## სტუდენტი,

**უმაღლესი დასაწყისი სასწავლებლის მასწავლებელი**—ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისთვის. აგრეთვე უმაღლესი დასაწყისი და ორკლასიან სასწავლებლების მასწავლებლად, „ჩინზე“ და აფთიაქის მოწაფეთ. შეიძლება მოწაფესთან სახლში სიარული, მისამართი: **ძველი თფილისის ქუჩა. ჟორჟოლაძის სახლი.**

6—3.

## კბილის ექიმები.

**მენაღარიშვილი და ტრუფანოვა**

დროებით

ბათუმიდან გადმოვიდნენ

**ქ. ქუთაისში.**

თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6.

არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას.

აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამოდენიმე სეანსზე ახალი საშვალებით.

## სამკურნალო

**კაბინეტი ელექტრონისა და სინათლის**

**ექიმის გაბრიელ იოსების ძის გოკიელის** შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფის მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6 8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, [illegible] (თ).

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი ხარკოვის უნივერსიტეტის, **ვარლამ პ—ძე მოსეშვილი** 7 დეკემბრიდან ავათმყოფების მიღებას დაიწყებს (შინაგანი და ნერვებით სნეულებიანი) დილის 8—3 საათამდი, **გოსპიტლის ქუჩა, ბართლომე მოსეშვილის სახლში № 6.**

**ექიმი ი. ჩიქოვანი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.


## ჩვენი ინტელიგენცია.

ქართველი ხალხის და მისი ხელმძღვანელ „მოწინავე“ ინტელიგენციის მოუმწიფებლობა, სხვათა შორის, გამოიხატება ზედმეტ გატაცებაში სხვადასხვა, უცხო ქვეყნებიდან გადმონერგილ, სოციალ-პოლიტიკურ თეორიებით, რომლებიც არა თუ ვერ ეგუებიან ჩვენი ცხოვრების ახლანდელ პირობებს, არამედ მეტათ მავნებელი არიან ქართველი ხალხისათვის და ქართულ ეროვნულ განვითარებასაც საშინელ ხიფათს უმზადებენ.

დიდმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც ქართველი ინტელიგენციის ერთი ნაწილი გამოვიდა სოციალიზმის დროშით ჩვენს საზოგადოებაში.

ეჭვს გარეშეა, რომ მათში ბევრი ნიჭიერი და განათლებული, ბევრი გულწრფელი და ყოვლად უმწიკვლო პიროვნებაც ურევია, რომლებიც მთელი თავისი არსებით ემსახურება ერთხელვე აჩემებულ იდეის და ცდილობს მოუპოვოს მას, რაც შეიძლება, მეტი მიმდევარი.

ვინ იტყვის, რომ ეს პატიოსანი მუშაკნი ხალხის კეთილდღეობისათვის არ იღწვოდენ, მათი მოუსვენარი მოღვაწეობა და თავგანწირული მუშაობა ჩვენი ქვეყნისათვის ბედნიერების მოპოვებისაკენ არ იყოს მიმართული, მაგრამ სავალალოა ის არის, რომ მათი მოღვაწეობა მეტ წილათ შეუფერებელი გამოდგა ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისათვის და ხალხის ინტერესების დამცველნი ამავე ხალხის ნორმალურ განვითარებასა და წარმატებას წინ ეღობებოდენ.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ დებულების დამტკიცებას მაგალითებით, ვინაიდან ამნაირი აზრი არა ერთხელ გამოთქმულა ჩვენი გაზეთის ფურცლებზე საკმაოთ დასაბუთებულათ. ვიტყვით მხოლოდ, რომ გულს გვიკლავს და მეტათ მწარე ფიქრებს გვიშლის, როცა ვაკვირდებით და ვადარებთ ერთმანეთს ჩვენსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ დაწინაურებულ ერის ცხოვრების ვითარებას. სამწუხარო იმდენათ ის კი არ არის, რომ ვერ მოგვიხერხებია ევროპიელებისავით მოწყობა ჩვენი პრაქტიკული ცხოვრებისა, არამედ ის არის სავალალო, რომ ყოველ მხრივ უმწვერვალესათ განვითარებულ ევროპიულ საზოგადოების მიერ შექმნილ იდეალისტურ უტოპიურ აზროვნებისათვის ჩაუკიდია მტკიცეთ ხელი ჩვენი ქვეყნის გულშიც ტკივარ ერთი ჯურის ინტელიგენციას და სურს ფესვები გაადგმევინოს მას ჩვენს ხრიოკსა და მწირ ნიადაგზე.

თუმცა ყოველ ჟამს არსებობდენ ტვირთმძიმენი და მაშვრალნი ამა ქვეყნის ძლიერთა და მდიდრებთან ერთად და კაცობრიობის დიდი უმრავლესობა არაოდეს არ ყოფილა დალხინებული, კმაყოფილი თავისი ბედით და ამის გამო მათ სანუგეშებლათ ხშირათ მოვლენიათ გასხივოსნებული პიროვნებანი, რომლებიც ჯვარცმულან ტანჯული ხალხის გულისათვის, მაგრამ ყველაზე უფრო მეტი მოსარჩლე და ქომაგი დაბეჩავებულ და მიწასთან გასწორებული ხალხს წარსული საუკუნის განმავლობაში გამოუჩნდა. კაცობრიობის უმრავლესობის გაჭირვებულმა მდგომარეობამ წარმოშვა მრავალი სხვადასხვა ხასიათის იდეოლოგია. მათ შორის ყველაზე უფრო უკიდურესი, რადიკალური და მასთან პრობლემატიური, ცხოვრებაზე მეტათ დაშორებული სოციალისტური იდეოლოგია გახლავთ. ჩვენის აზრით, ყოვლად შეუძლებელია სოციალისტური გზით სოციალური პრობლემის გადაწყვეტა დღევანდელ პირობებში. მაგრამ ჩვენ ამ ჟამათ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენ გვსურს მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ სოციალიზმს თავის სამშობლო ქვეყანაშიც ვერ მოუპოვებია მკვიდრი ნიადაგი. იგი მეტად მორცხვი და მორიდებული აღმოჩნდა იქაც კი, სადაც მან პირველათ იხილა დღენი თვისი.

ჩვენში კი სულ სხვას ვხედავთ. თითქმის მთელი ქართველი მოაზროვნე ინტელიგენცია სოციალისტური აზრებით არის შეპყრობილი. სოციალიზმის გარეშე მას ვერ წარმოუდგენია ხალხის ხსნა და ბედნიერება; იმას კი ვერ ამჩნევენ, რომ თუ დასავლეთ ევროპაში იგი არ არის სახიფათო, პირიქით, სასარგებლოც არის, როგორც მაფხიზლებელი და კრიჭაში მდგომი არსებულ გაბატონებულ იდეოლოგიისა, ჩვენთვის პირდაპირ დამღუპველია მისი ბატონობა და აქიდან წარმომდგარი მოურიდებლობა—მედიდურობა.

ჩვენებურ მშრომელ ხალხს უვიცსა და შეუგნებელს, მოკლებულს ყოველგვარ პოლიტიკურ გამოცდილებას, არ შეუძლია კრიტიკულათ გარჩევა ყველა იმ სოციალისტური ავლა-დიდებისა, რომლითაც კვებავენ მის ჭკუა-გონებას მისი არამკითხე ხელმძღვანელნი. ამიტომაც იგი სიტყ-

ვა შეუბრუნებლათ უჯერებს მათ და, მართლაც, შესაძლებლათ მიაჩნია განხორციელება ყველა იმ ლამაზი და კეთილშობილი აზრებისა, რომელიც საფუძვლათ უდევს ყოველს სოციალისტურ მოძღვრებას. შეუწყვეტელი, მიდგომილი ქადაგება შესახებ იმისა, რომ მუშა ყველაფერია და მეპატრონე არაფერი, რომ ეს უკანასკნელი არ თამაშობს არავითარ ეკონომიურ როლს და მუდამ იმის ცდაშია, რაც შეიძლება მეტი სისხლი ამოსწოვოს და გასუქდეს მის ხარჯზე, რომ ხსნა ამ უმწეო მდგომარეობიდან შესაძლოა მხოლოდ სოციალიზმის დამყარებით, რისთვისაც შეურიგებელი ბრძოლაა საჭირო მეპატრონეთა წინაამდეგ—ამნაირი ცალმხრივი ქადაგება, ვამბობთ ჩვენ, ნამეტნავად მაშინ, როცა ხალხი შეგნების ერთობ დაბალ საფეხურზე სდგას, რევს ერის შინაურ ცხოვრებას, აზარმაცებს მის მშრომელ ხალხს და ნაცვლათ ბეჯით და გულდადებული მუშაობის შეჩვევისა გულს უცრუებს და ხელს აღებინებს მას ყოველგვარს სერიოზულ საქმიანობაზე. ამგვარათ, ერი მოკლებული შრომისმოყვარე ელემენტს ღატაკდება და უძლურდება, როგორც ეკონომიურათ, აგრეთვე კულტურულათაც. საჭიროა, ერთხელაც არის, ბოლო მოეღოს ამნაირ შემცდარ და მავნებელ აზრების გავრცელებას ჩვენს ისედაც დაქვეითებულ და შრომის უნარ მოკლებულ საზოგადოებაში.

სოციალისტური თვალსაზრისით გადაჭრამ ჩვენი დამოკიდებულობის საკითხი მეზობელ ერებთან ლამის დაღუპვის კარამდი მიიყვანოს ჩვენი ბედკრული სამშობლო!

ჩვენ სოციალისტურ ინტელიგენციას ვერც იმან აუხილა თვალები, რომ ჩვენ ჰკვიან მეზობელ ერს, რომელიც ძლიერ შორს სდგას სოციალისტურ იდეალისაგან, მეტათ მოსწონს მისი სოციალისტური პოლიტიკა ეროვნულ საკითხის გათვალისწინებაში და კიდეც დაუმეგობრდა მას: გულში გულს უცვლის, სულში სულს, ოღონდ მისცეს მას საშუალება, კოსმოპოლიტური აზრების გავრცელებით საქართველოში მოიკალათოს ჩვენს მიწა-წყალზე, შეირჩინოს ჩვენი მამულ-დედული და მით დაასუსტოს და დააუძლუროს ისედაც აოხრებული და გატიალებული ქვეყანა.

სანუგეშოთ მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ამ ბოლო დროს ჩვენი ინტელიგენციის ერთი ნაწილი იწყებს ახალ, ჩვენი ქვეყნისთვის გამოსადეგ და შესაფერ გზაზე დადგომას. მას სწადია თავი დაანებოს უქმ ფანტაზიობას, აულოს ალღო ჩვენი ქვეყნის საჭიროება-მოთხოვნილებას და შეეცადოს მიბაძოს სხვას იმაში, რაც უფრო პრაქტიკული და გამოსადეგარი შეიძლება იქნეს ჩვენი ერის კულტურულ და ნივთიერ წარმატებისათვის. მომავალ იდეალისტურ საზოგადოების დამყარების შესახებ ოცნების ნაცვლათ მან განიზრახა მოიგონოს თავისი ქვეყნის ნამდვილი საჭიროება, ხალხის გაჭირვების და დაქვეითების ჭეშმარიტი და შეძლებისადაგვარათ მიუთითოს იმ საშუალებაზე, რომლის წყალობითაც შესაძლოა ქვეყნის წარმატება და გამდიდრება-გალონიერება.

ჩვენი ერის აღდგენა, მისი ყოველმხრივათ დაწინაურება და გამაგრება იმდენათ დიდ და უპირველეს საქმეთ მიგვაჩნია, რომ ამის გულისათვის მზათ ვართ ვებრძოლოთ ყოველგვარ დაბრკოლებას, რაც კი წინ გადაგვეღობება.

ეს ასე არის სხვაგან და ჩვენშიც ასე უნდა იყოს. სხვაზე ზრუნვა გალონიერებულ და წელში გასწორებული ადამიანის წესია. ჩვენ კი ჩვენი საკუთარი საქმე ვერ მოგვიმართავს და საკაცობრიო კითხვების გადაჭრა გვსურს, ჩვენი შინაური ცხოვრება ვერ მოგვიწყვია და ერთა შორის სასურველ დამოკიდებულების შესახებ ვდავობთ და ვმსჯელობთ და ამას ვალევთ ჩვენ უკანასკნელ ძალ-ღონეს. ჩვენ ხალხს ვერ ვარგივართ და სხვისი ხსნისათვის ვიბრძვით თავგანწირულათ. სწორეთ ამაზეა ნათქვამი პოეტის მიერ შემდეგი საგულისხმიერო სიტყვები:

კოლო, ბუზო, ჭიანჭველო თავ მოხდილო ფეხ შიშველო, შენ თავს შენ რომ ვერ არგიხარ, როგორ გინდა სხვას უშველო?

ა. თორაძე.

# ევროპის ომი.

### პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

**რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.**

ოფიციალ. უმაღლ. მთავარ სარდლის შტაბისაგან:

უკანასკნელ დღე და ღამის განმავლობაში ვილნისა და მლავას რკ.-ნის გზის რაიონში შესანიშნავი არაფერი მომხდარა. იყო მხოლოდ უმნიშვნელო საარტილერიო სროლა ორივე მხრით.

ჩვენმა არტილერიამ ძლიერ გაუძნელა საქმე გერმანელებს თავის ფრონტზე ჯარები მოეწესრიგებიათ. ერთ ადგილას ჩვენი არტილერიის ცეცხლით ჩანგრეულ იქნა მოპირდაპირის თხრილები, რომელშიაც სხვადასხვა ყალიბის იარაღი ეწყო. რავის ზემოთ 7 ვერსის მანძილზე ჩვენმა არტილერიამ დაღუპა ერთი ჯავშნიანი ავტომობილი, რომელიც უახლოვდებოდა სასროლათ ჩვენს სანგრებს. გალიციაში, ამ ბოლო დროს ავსტრიელთა მოქმედება უფრო ენერგიულია.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** გავასის სააგენტო იუწყება, ბელგიაში სანჯორჯის დასავლეთით ჩვენ ცოტა წინ წავიწიეთ. დანარჩენ ფრონტებზე მხოლოდ საარტილერიო სროლა ხდებოდა. შამპანიაში ჩვენ გერმანიის რამოდენიმე სიმაგრე დავანგრიეთ მაასზე. ჩვენმა არტილერიამ გერმანელთა ხიდები სრულიად გაანადგურა. ლოტარინგიაში გარს შემოვერტყით ბავარელთა რაზმს, რომელიც ტყვეთ წამოვიყვანეთ. ელზასში სამხედრო მოქმედებას შავი ნისლი ხელს უშლის.

**ლონდონი.** ერთი პირის გადმოცემით, რომელიც ბოლო დროს ბრძოლის ველზე იყო, ინგლისელებმა დიდი უნარი გამოიჩინეს საარტილერიო და ცხენოსანბრძოლაში. ინგლისის არტილერიამ უკანასკნელ ოთხი დღის ბრძოლის დროს აღმოაჩინა გერმანელების ყველა ბატარეების მდებარეობა. ინგლისის მთავარ სარდალმა ინახულა ინგლისის მრავალრიცხოვანი კავალერია, რომელშიაც ინდოეთის მრავალი პოლკებია.

**ლონდონი.** რეიტერის ცნობით ინგლისის მაშველი კრეისერი „ვიკტორ"-ი დაიღუპა მთელი ეკიპაჟით. მიზეზი გამოურკვეველია. ფიქრობენ, გემი დაიღუპა ან ქარიშხალის დროს და ან ნაღმითო.

**ავსტრია და სერბია.**

**ბუქარესტი.** ორშოვიდან იტყობინებიან, გერმანია და ავსტრია სერბიაში შესაჭრელათ სერბიის საზღვარზე ჯარებს აძლიერებენო. ტისკნაზე გადმოიფრინა ავსტრიის ჰაეროპლანმა და ცოტა ხნის შემდეგ სერბიის ტერიტორიაზე გადაისროლა სამი ყუმბარა, და შემდეგ აეროპლანი გაეშურა რუმინიის ტერიტორიისკენ და გადმოფინა რუმინიის ბაირაღი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, რუმინელ დარაჯებმა მას სროლა აუტეხეს. ბუკოვინაში მოელიან ავსტრიის იარაღებს და ბავარიის რამდენიმე პოლკს.

**ზღვაზე ბრძოლა.**

**მალმე.** სამხ. უწყ. ცნობით, ხმები დადის, რომ 13 იანვარს გერმანიის ჯავშნიან კრეისერს შეეტაკა რიუგენის ახლოს წყალ ქვეშა ნავი. ნავი ვის ეკუთნოდა გამოურკვეველია. ირწმუნებიან, იმ კრეისერს მაინც შესძლო, მიუხედავათ ზიანისა, სამშვიდობოს გასულიყო.

**ჰაერში ბრძოლა.**

**პეტროგრადი.** საზღვაო ცეპელინი, რომელიც ბალტიის ზღვით გადმოფრინდა დილის 10 საათზე 12 იანვარს ლიბავაში, რამდენიმე ყუმბარა გადმოისროლა. შემდეგ მოუხვია სამხრეთისაკენ და სურდა გაქცევა, მაგრამ ამ დროს ჩვენი გემებიდან ზარბაზნების სროლით, მან ფრენა ვეღარ შესძლო და ზღვაში ჩამოვარდა. ჩვენი გემები თაელინისკენ გაეშურენ. ცეპელინი სროლით შეხვდა გემებს, რომლებმაც ცეპელინი მოსპეს.

**პარიზი.** ოფიციალური. 11 იანვარს საღამოთი ინგლისის ჯარმა უკუაგდო გერმანელებისაგან მოტანილი ახალი იერიში მაასზე. კონტრიერიშით მათ დაიკავეს ის პოზიციები, რომლებიც მათ წინა დღით ეკავათ. ამ ბრძოლას ძალიან მწვავე ხასიათი ჰქონდა. ლამასის გზაზე გერმანელებმა დასტოვეს 300 მოკლული ჯარისკაცი. ჩვენი იერიშის საპასუხოთ მტერი შეეცადა მოსულიყო ჩვენი თხრილების ახლოს, ფულონის ტყის შემწეობით. წინ და წინ საჰაერო ტორპედებით მათ სანგრები გაიკეთეს. ჩვენ ყოველ მათ იერიშს მედგრათ ვუპასუხებთ. ვაწარმოებთ საწინააღმდეგო იერიშს ხსენებულ ტყის ერთ ნაწილში და დაკარგულ პოზიციებს ისევ ვიბრუნებთ. ელზასში და დანარჩენ ასპარეზზე შესანიშნავი არა მომხდარა რა.

**ლონდონი.** გუშინ მტერმა ინგლისის პირველ დივიზიის წინააღმდეგ სასტიკი იერიში მოიტან მაგრამ დიდის დანაკლისით უკუგდებული იქნა. წამოვიყვანეთ 55 ტყვე ჯარის კაცი და სამი აფიცერი მოკლულია 300 ჯარისკაცამდი. იპრთან მოტანილი იერიშები მტრისთვის ყველა საზარალოთ დაბოლოვდა.

**პარიზი.** გავასის სააგენტო იუწყება: იზერთან ბელგიელებმა წინ წაიწიეს. ლილისა და ვაზის შუა, მტერმა მოიტანა ორი სასტიკი იერიში. პირველი იერიში მოგერებულ იქნა, მხოლოდ მეორე იერიშის შედეგი იყო მათი მოახლოვება ჩვენ სანგრებთან, მაგრამ კონტრიერიშით ისიც უკუვაგდეთ და მტერს წავართვით თითქმის მთელი დაკარგული სივრცე. შამპანიაში მტრის არტილერიას უფრო სუსტი მოქმედება ეტყობა, ვიდრე წინათ. სენტიუვერთან მოვიგერიეთ მტრის იერიშები. ელზასში მტერი სარგებლობდა თავის ყუმბარის მტყორცი აპარატებით. ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ. გრანტა, მონცვეი-რსკოვის ახლოს, სადაც ბრძოლა არ ყოფილა, მტერმა ნაღმები დაუშვა ტანნს, სენტგეიმსა და ლემბასის.

**გერმანია და რუსეთი.**

სამხ. უწყ. ასწერს ათ იანვრის შემდეგ მდგომარეობას ბრძოლის ველზე, გერმანიისა და ავსტრიის საზღვარზე და ამბობს, რომ ამ დღეების განმავლობაში გერმანიის საზღვარზე მსხვილი შეტაკება არ მომხდარა, მხოლოდ გერმანელები ხანდახან აჩაღებდენ სიგრძნობელ საარტილერიო ცეცხლს. მხოლოდ გუმინის რაიონში შეეცადენ იერიშების მოტანას, მაგრამ ამ ცდამ უნაყოფოთ ჩაუარათ.

ავსტრიის საზღვარზე, გალიციაში და კარპატებზე, მტერს ემჩნევა ამ ბოლო დროს მეტი გამოცოცხლება. მაგალ., ისლოკიდან მუკასტრიის მხარეზე, ავსტრიელებმა მოიტანეს ჩვენს ჯარზე ძლიერ მედგარი იერიში, რომელიც მათ ძლიერ ძვირათ დაუჯდათ, რადგან ჩვენი ჯარის მამაცური შეტევით ისინი სასტიკათ დამარცხებულ იქნენ. აქ ტყვეთ წამოვიყვანეთ 3 აფიცერი და 300 ჯარისკაცი. დანარჩენ რაიონებშიაც იყო მტრისაგან მოტანილი იერიშები, მაგრამ ყველგან უკუგდებულ იქნენ. ნიუევერეცკის რაიონში დაიწყო თავდასხმა მტრის ჯარებისა, რომლებიც საკმაო ძალას წარმოადგენენ. ბრძოლა გრძელდება.

## რუსეთ-ოსმალეთის ასპარეზი.

ოფიციალური. კავკასიის ჯარების შტაბისაგან. ჭოროხის მხარეზე ჩვენი თავდასხმა ოსმალეთის ჯარზე გრძელდება, მიუხედავათ მათი მხნე თავდაცვისა.

ოლთისის მხარეზე, უმნიშვნელო ბრძოლაა, რომელიც გამოწვეულია ოსმალების სურვილისაგან შეინარჩუნონ თავის პოზიციები.

**პეტროგრადი.** სარიყამიშთან ბრძოლის დროს ჩვენმა ჯარებმა ტყვეთ წამოიყვანეს ოსმალეთის მეცხრე კორპუსის სარდალი, გენერალ-მაიორი ისხან-ფაშა, ამავე კორპუსის შტაბის უფროსი, გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი, საიდ-ბეგი ჰუსეინი. მეცხრე კორპუსის თანაშემწე, მაიორი ლიუტფი-ბეგი. მეცხრე კორპუსის სამივე დივიზიის უფროსი, მეჩვიდმეტე გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი თახირ-ბეგი, რომელმაც მიიღო დივიზიის სარდლობა, დაჭრილ პოლკოვნიკის ალი-რიზა ბეგის მაგიერ. მე 18 გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი ედხემ ბეგი. ოცდამეცხრე გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი არიფ-ბეგი. უკანასკნელი სამი თავის შტაბებით იქნენ დატყვევებული. ამას გარდა ტყვეთ წამოყვანილია შტაბ-აფიცრები ოსმალეთის მესამე არმიისა, გენერალურ შტაბის მაიორი მუსუხი-ბეგი, ისმაილ ხაკი-ბეგი, კაპიტნები: ახმედ ხნიომი ეფენდი, უსუფ ის-ბეგი, რამდენიმე ათეული შტაბ-აფიცრებისა, რომლებსაც ეკავათ პოლკების უფროსების ადგილი. ტყვეების ჩვენების მიხედვით, ენვერ-ფაშა მოსულა ... ასრულებდა ... თავის ... [illegible] პუსის სარდლის მოადგილე, რომელიც გენერალ მაიორ ახმედ იუზუფ-ფაშას ეკავა და სხვა მრავალი მოადგილენი ამ კორპუსში იმის გამო, რომ ყველა ეს პირები, წასულან ენვერის საწინააღმდეგოთ. მათ მაგიერ დაუნიშნავს ახალგაზდა პირები, რომლებსაც ენვერ-ფაშა უფრო ენდობოდა. ახლათ დანიშნული პოლკოვნიკები თურმე ეკუთვნოდენ ერთობისა და პროგრესის კომიტეტს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ლოძში მიღებულ ცნობებით, გერმანიასთან რკინის გზით ყოველნაირი მიმოსვლა შეწყვეტილია. ყოველ ორ საათს შემდეგ ლოძიდან ბრესლავლში სანიტარული მატარებელი მიდის დაჭრილებით და ავათმყოფებით. სამშაბათს ბერლინში გავიდა მატარებელი გაფუჭებული ზარბაზნებით.

მიმოსვლის შეწყვეტის გამო, ლოძში დიდი გაჭირვებაა. უსაჭიროეს სანოვაგის ფასმა ერთი სამათ მოიმატა.

— —

მიღებული ცნობებით, ქალ. პრასნიში, პლოცკის გუბერნია, ძალიან დაზიანებულია ომისაგან. მრავალი სახლი დანგრეულია, ზოგიც დამწვარი. მცხოვრებლებმა თავის ქონების გადარჩენა ვერ მოასწრეს. პრუსიელები მცხოვრებლებს დასცინოდენ და თხრილებზე ამუშავებდენ. ბევრს ატუსაღებდენ რუსებისადმი თანაგრძნობისათვის. ყოველნაირი სანოვაგე გაძვირებულია. ნავთი, სანთელი და საპონი არ იშოვება.

— —

როგორც ვიცით, მდ. ვისლის მარჯვენა და მარცხენა ნაპირები გერმანელ ახალშენებითაა დასახლებული. ამ ჟამათ მთავრობა მათ გადასახლებას შეუდგა. ასახლებენ ვაჟკაცებს წლოვანობით 14 წლიდან, როგორც ჯაშუშებს და მტრის ხელისშემწყობთ. ასეთი ზომა მოსაწონია, თუმცა დაგვიანებულია.

— —

ოსმალებს ეშინიათ პალესტინაზე თავდასხმისა და ნაზარეთის ირგვლივ გორაკებს ამაგრებენ; გაჰყავთ გზები აკრიდან მძიმე ზარბაზნების გადასატანათ.

გერმანელ ახალშენების მეტმა ნაწილმა მიატოვა ხაიფი და ბეთლემს გადაიხვეწა.

— —

„რეჩი" გვატყობინებს, რომ ვლადიმერ ბურცევის საქმე პეტროგრადის სამოსამართლო პალატაში გასარჩევათ, 20 იანვრისათვის არის დანიშნულიო.

— —

ალექსანდრიიდან გვატყობინებენ, ებრაელები პალესტინიდან ეგვიპტეს გარბიან. ამერიკის ჯავშნიან კრეისერ „ტენესსის" გამოქცეული ებრაელები იაფიდან ალექსანდრიაში უფასოთ გადაყავსო.

— —

რომის კურიის ოფიციალური ორგანო გვატყობინებს, რომ პაპიმ ბენედიკტ XV უბრძანა ევროპის ყველა კათოლიკების ტაძრებში გადაეხადათ პარაკლისი, მშვიდობიანობის დასამყარებლათ.

— —

საფრანგეთის კათოლიკები პაპის ბრძანებით უკმაყოფილონი არიან, რადგანაც კათოლიკების ტაძრებზე ყუმბარების დაშენას გერმანელ ზოგიერთა გენერლის პროტესტანტურ პიეტიზმით ხსნიან.

— —

ნიუ-იორკიდან მიღებული ცნობებით, მექსიკის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კარანცამ მექსიკიდან ნავთის გატანა აკრძალა.

## სხვა და სხვა ამბები.

**თფილისი.** სამხედრო ტაძრის მოედანზე გამოფენილია ოსმალებისაგან წამოღებული ტროფეები: 39 საველე იარაღი, 12 ტყვიისმტყორცნელი. ყველა იარაღებზე წაწერილია კრუპისა და ოშნეიდერის ფირმების სახელები.

**პეტროგრადი.** ოსმალეთის ჯარის მეთერთმეტე კორპუსის სარდალი გალიბ-ფაშა, ენვერ-ფაშის ბძანებით, დასჯილ იქნა გასსან-იზეტ-ფაშისგან, იმ შეცდომისათვის, რომელიც მან დაუშვა ყარა-ურგანთან ბრძოლების დროს. მისმა დასჯამ ოსმალების აფიცრებში უკმაყოფილება გამოიწვია.

**ბუქარესტი.** სერბიაში მომავალ შეტევის დროს, ავსტრო გერმანიის ჯარში შევლიან მხოლოდ გერმანელები, ავსტრიელები კი, უნგრელები, რომლებიც ორშოვის რაიონში არიან დაბინავებული. გერმანიის ჯარები მოიწრიფვიან პანჩევიდან.

**მოსკოვი.** სერბია-ჩერნოგორიის ... გამო, რომელიც მოსკოვში იყო ... თული, ჩერნოგორიის ... მოუგზავნა მოსკოვის ქალაქის თავ... დღეცით მოსკოველ მოქალაქეთ ჩ... მთელი ჩერნოგორიის მადლობა ... ღვთო აღთქმა, რომ ჩვენ მივდევართ ... სეთის მფარველობის ქვეშ და ვსწ... მხნევრბლს, სიმართლის იდეის გასა... ვებლათო.

**სტოკჰოლმი.** რუსეთის მისიას მ... ბილება აქვს განაცხადოს, რომ სა... გარეთის პრესის მიერ გავრცელ... ხმები, ვითომც მოკავშირეებში უთ... ების ჩამოვარდნის გამო, შესაძლ... იყოს სეპარატიული ზავი, სიმარ... მოკლებულია.

**ლონდონი.** განწყობილება მოკავ... შვიდ სახელმწიფოს შორის შეურყევ... რჩება, და უფრო მკვიდრთა, ვიდრ... ოდესმე ყოფილა.

**ლონდონი.** საადმირალოს მდივან... ყება, რომ ინგლისის ყველა ის გემი, ... ლიც უკანასკნელ ბრძოლაში ... მონაწილეობა, მშვიდობიანათ და... და. უმნიშვნელო რიცხვი გემებისა ... ტა დაზიანებულია, მაგრამ ცოტა ... შეკეთების შემდეგ კვლავ იმოქმე... ეკიპაჟის დანაკლისი: დაჭრილია 3... რისკაცი, და 6 მოკლული. დაჭრ... აგრეთვე 3 აფიცერი.

## გენადიევის აზრი ბულგარე... შესახებ.

პეტროგრადის სააგენტოს კორე... დენტთან ლაპარაკის დროს, გენად... განაცხადა, მისი მისია რომში, მხ... იმ მოსაზრებით იმყოფება, რომ გა... საერთაშორისო მდგომარეობასო. გ... ევმა არაფერი სთქვა ბულგარეთის ... შესახებ დღევანდელ ომის დროს, მ... მან მაინც გამოსთქვა აზრი, რომ ბ... რეთისთვის ნეიტრალიტეტი მიუცილ... საჭიროებას შეადგენს, რადგან ს... წინააღმდეგ გამოსვლა ნიშნავს რ... წინააღმდეგ ბრძოლას, რომლისაც ... გარეთი ისეთი მადლიერია თავის გ... ვისუფლებისთვისო. მაგრამ, განაგ... გენადიევი, მიუხედავათ ამისა, ჩვენ ... რალურ სახელმწიფოების წინაა... სერბიასთან ერთად, ვერ ვ... ლებთ, რადგან სერბიამ თვითონ ... ლკია ჩვენთან კავშირიო. მხოლოდ ... ის არის, თუ როგორი იქნება ბულ... თის მოქმედება იმ შემთხვევაში, თ... მინიამ ავსტრიას ომი გამოუცხადო... გენადიევი აქაც ოპტიმისტია და ამ... დარწმუნებული ვარ, რომ ბულგა... მიიღებს მაკედონიის ნაწილს, რ... შესახებაც სერბია ამ ორი თვის წი... თანახმა იყო, მაგრამ საბერძნეთის ჩ... ვის გამო საკითხი გადაუწყვეტელი დარჩ...

## ჰუნგრეთი და ავსტრია

„ვარშავის კურიერ"-ში დაბეჭდილია ... გულისხმო საუბარი ავსტრო-ჰუნგრ... დან ახლახან ჩამოსულ პოლონელ... რომელიც ჰუნგრეთის მინისტრათ... და კარგი მეგობრობა ჰქონდა გრ... სთან. „ჩვენი დიდი შეცდომა, ... იყო რომ, არც ბერლინში და არც ... ნაში ვერ წარმოედგინათ, რომ ინგლ... საფრანგეთსა და რუსეთს მხარს ... ჰერდაო.

— ვენაში და ბერლინში მაშინ ... მოდგენილი ჰქონდათ, რომ ინგლ... როგორც რუსეთის მეტოქე აზი... ისარგებლებდა შემთხვევით, გერმანი... რუსეთს მიუსევდა და თვითონ აზი... საკუთარ საქმეების მოწყობას შეუდ... ბოდა. წარმოდგენილი ჰქონდათ, ის... რომ ინგლისი რუსეთის დაცემით უ... დაინტერესებული იყო, ვიდრე გერმა... აოხრებით. ინგლისის დიპლომატებმა ... ისე წაიყვანეს საქმე, რომ ბერლ... თვალთმაქცობის მსხვერპლათ იქცა. ... სეთთან და საფრანგეთთან ინგლი... შეერთებამ იტალია შეაშინა და და... ბერლინისა და ვენის ყველა სტრატეგი... ლი გეგმა. ინგლისი, რომ საქმეში ... ჩარეულიყო საფრანგეთი მალე სეპა... ტულ ზავს შეკრავდა და მაშინ რუს... გერმანიისა და ავსტრო-ჰუნგრეთის ... ჯარს ვერ გაუძლებდაო".

— ახლა კი, განაგრძობს მინის... ჰუნგრელები მარტო ჰუნგრეთის გა... ჩენაზე-ღა ფიქრობენ. რუსეთისა და ...

გლისის პრესას სასაცილოთ არ ყოფნის ის როლი, რომელსაც ავსტრო-ჰუნგრეთი გერმანიისადმი ასრულებს. ავსტრო-ჰუნგრელები არც ისეთი გულუბრყვილონი არიან, როგორიც რუსებსა და ინგლისელებს გონიათ. ისინი ერთხელვე ამორჩეული გზით მიდიან და კარგათ იციან ისიც, რომ დღეს სეპარატული ზავი მათ ძვირათ დაუჯდებათ. უნგრელებს სასწაულთ მოქმედება არა სწამთ და ამიტომ მათ არა ჰსურთ თავიანთ ბედი დამარცხებულ ავსტრიას მიანდონ. ჰუნგრეთმა საკმაო მსხვერპლი გაიღო და ახლა, როცა მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი სდგება, მას არა სურს დიდსახელმწიფოებრივი იდეისთვის მთლად განიწიროს.

— შეკითხვაზე—ეცდება თუ არა ჰუნგრეთი სეპარატული ზავის ჩამოგდებას, ყოფილი მინისტრი ზერელეთ იძლევა პასუხს. შესაძლებელია სხვადასხვა კომბინაცია, სთქვა მან. თუ ისეთი არაფერი მოხდება, რომელიც მდგომარეობას ძირიანათ გადაატრიალებს, ანუ ავსტრია ანგარიშს არ გაუწევდა ჰუნგრეთის ინტერესებს, მაშინ ჰუნგრეთი იძულებული იქნება თავის საქმეებზე თვითონვე იფიქროს. „ჩვენ არ ვამბობთ: ავსტრია ჰუნგრეთისთვის, მაგრამ ჩვენ ვერც ის გვესმის: ჰუნგრეთი ავსტრიისთვისო“. ამიტომ ტისსა დაჟინებით მოითხოვდა, რომ, თუ ტრანსილვანიაში რუსეთის ჯარი შეიჭრებოდა, მონგოლები უნგრეთს გაეწვიათო, იმის მიუხედავად, ასეთი მოქმედება გინდენბურგისთვის სასურველი იქნება თუ არაო.

— ყოფილ მინისტრს ესმის ჰუნგრეთის ტერიტორიის ხელშეუხლებლობის საკითხის სირთულე იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ჰუნგრეთი სეპარატულ ზავს შეკრავს. ეს საკითხი მით უფრო რთულდება, რომ რუმინია ტრანსილვანიას ესწრაფვის. ჰუნგრელებს იმედი აქვთ, რუმინია სხვაფრივ დააკმაყოფილონ. და თუ ჰუნგრეთი სამთა შეთანხმებასთან სეპარატულ ზავს შეკრავს, რუმინია ძნელათ გაბედავს რუსეთის წინააღმდეგ გამოსვლასო. (დ.).

# ახალი ამბავი.

**მგოსანი აკაკის ავადმყოფობა.** უკანასკნელათ მიღებული ცნობების მიხედვით, მგოსანი აკაკის მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება.

მგოსანი თავს უკეთ გრძნობს. აკაკის ავადმყოფობის წინ დაუწერია ახალი პოემა, ომის შესახებ, რაც ამ მოკლე ხანში ცალკე წიგნათ გამოვა.

✦ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. დ. ო. ნიჟარაძე ამ ჟამათ ტფილისში იმყოფება.

✦ ქუთაისის მაზრის, თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. გ. ერისთავი 14 იანვარს დ. ბაღდად გაემგზავრა სამხედრო ბეგრის მოსახდელ ახალგაზდათა გაწვევაზე დასასწრებლათ.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობა მდგომარე 1915 წლის ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას უკვე შეუდგა.

✦ ომში გაწვეულთა ოჯახების დამხმარე კომიტეტისაგან ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო, რომლის მიხედვითაც ომში მოკლულ ჯარის კაცების შვილებს დახმარება მიეცემათ.

თითოეულს 16 წლამდი 24 მან. სოფლებში დაბებსა და სამაზრო ქალაქებში მცხოვრებთ, ხოლო დიდ ქალაქში მცხოვრებლებს კი 30 დან 42 მან.

სრულ ობლებს მიეცემათ სხვა დახმარებაც.

იმ ბავშვებს, ვინც სასწავლებლებში დაიარებიან, ამ ფულს გარდა, მიეცემათ ერთდროული დახმარება, თფილი ტანისამოსისა, ფეხსაცმლისა და წიგნების შესაძენათ.

✦ ამჟამათ ქუთაისში აღგენენ მეორე ასეულს ქართული ცხენოსანი „დრუჟინისას“. ახალგაზდები დეპუტატთა საკრებულოში ეწერებიან.

✦ წელს ქუთაისში, დიდი გადასახადების გამო, „რესტორანებს“ ორი კაცის მეტი ვერა ხსნის.

✦ როგორც საგუბერნიო კანცელარიიდან შევიტყვეთ, ოზურგეთის მაზრაში ახალგაზდათა გაწვევა სამხედრო ბეგარის მოსახდელათ, შემდეგ რიცხვებში მოხდება:

პირველ გასაწვევ უბანში ქ. ოზურგეთში 4 თებერვალს; ჩოხატაურის მეორე გასაწვევ უბანში ქ. ოზურგეთი—21 იანვარს და ლანჩხუთის მესამე გასაწვევ უბანში—15 იანვარს.

✦ ქუთაისის გუბერნატორის განკარგულებით, ეძებენ გერმანიის ქვეშევრდომს **პავლე—გიორგი—ლეოპოლდს რენერს.**

✦ ოთხშაბათს 14 იანვარს, საღამოს ქაზე შინ დაბრუნებულ ლიდა შალამბერიძის ქალს მესხეთის ქუჩაზე შეხვდა ვლადიმერ ლომიძე. შალამბერიძის ქალმა გზა აუქცია და ქუჩის მეორე მხარეს გადავიდა. ლომიძე მას გაჰყვა. დაეწია, ჯიბიდან დანა ამოიღო და ორი ჭრილობა მიაყენა ერთი მარჯვნივ ზურგში და მეორე მარცხენა გვერდში. დაჭრილი ქალი იქვე წაიქცა. ექიმების შემოწმებით, ჭრილობა სერიოზულია. ლომიძის დასაჭერათ ზომებია მიღებული.

✦ ამ თვის 10 რიცხვიდან ადგილობრივ მოწაფეებთან ერთად მეცადინეობა, გადმოხიზნულ მოწაფეებმაც დაიწყეს.

✦ ამ დღეებში ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია საქმეების გასარჩევათ ქ. ოზურგეთში გაემგზავრება, სადაც 30 იანვრამდი დარჩება.

✦ **საგუბერნიო კოოპერატივი.** ქუთაისში არსდება მომხმარებელი საზოგადოება „კოოპერაცია“, რომლის წესდებაც უკვე დაამტკიცა ადგილობრივმა გუბერნატორმა. წესდების § 12 მუხლის ძალით, საზოგადოების წევრებათ მიიღება ქ. ქუთაისისა და ქუთ. გუბერნიაში მცხოვრები ორივე სქესის პირები და აგრეთვე ყოველგვარი საზოგადოებანი, არტელები, ამხანაგობანი, სკოლები, საავამყოფოები და სხ. საზოგადოების უმთავრესი მიზანია შეაკავშიროს გუბერნიის ყველა კოოპერატივები და შეაგროვოს მათი სამყიდველო ძალა. დამაარსებლებია: ოლღა ეკ. შენგელიასი ტარიელ ჩიქოვანის ასული, თავი დ. ტ. ჩიქოვანი, ნაფიც ვექილის თანაშემწე თ. ვ. გობეჩია და ჟურნ „კოოპერაციის“ რედაქტორი იასონ გაბილაია. საწევრო გადასახადია ერთი მანეთი, პაი ღირს 5 მანეთი. პაის შემოტანა შეუძლიათ ნაწილობით. ამ თავითვე ქუთაისში განზრახულია ფურნისა და სადილოს გახსნა. წევრებს ღებულობენ დამაარსებლები და აგრეთვე საზოგადოების წევრი გიორგი დომენტის ძე ტუსკია. ქიათურის რაიონის კოოპერატივებს შეუძლია ჩაეწერონ „ჩვენი ოჯახი“-ს გამგე ვ. ბურჯანაძესთან. დამფუძნებელი კრება მოხდება იანვრის დამლევამდი.

## სახალხო მასწავლებელი ნადეჟდა ტყეშელაშვილის ასული.

(ნეკროლოგი).

კვირას, 11 იანვარს, მთავარ-ანგელოზის ეკლესიის გალავანში ცივ სამარეს მიაბარეს ახალგაზდა მასწავლებელი ქალის ნადეჟდა ტყეშელაშვილის ასულის ცხედარი, რომლის დასაფლავებასაც დაესწრო აუარებელი საზოგადოება. განსვენებულმა ქუთაისის წმ ნინოს საქალო სასწავლებელში მეცხრე დამატებითი საპედაგოგიო კლასის დასრულების შემდეგ ხელი მოჰკიდა სახალხო მასწავლებლის მძიმე მოვალეობას, რომელსაც ის თითქმის 9—10 წლის განმავლობაში მეტად პატიოსნად და სინიდისიერად ასრულებდა. პირველად ის განწესდა მასწავლებლად ოზურგეთის საქალო სასწავლებელში. შემდეგ დააარსა ქუთაისში, თავის უბანში, მესხეთის ქუჩაზე, კერძო პირველდაწყებითი სასწავლებელი, სადაც ორი წლის განმავლობაში ერთგულად მოღვაწეობდა, მიუხედავად იმისა რომ ეს სასწავლებელი, როგორც საზოგადოთ კერძო, ნივთიერათ ვერ აჯილდოებდა განსვენებულის შრომას.

რადგანაც მას მიზნად ჰქონდა დაბალი მოღვაწეობა დაბა-სოფლებში, სადაც სამკალი ბევრი არის და მუშაკი კი ნაკლებად, ამიტომ მან არჩია ისევ სოფლებში სამსახური და წავიდა მასწავლებლად ქვედა მაღლაკის პირველდაწყებით სასწავლებელში, საიდანაც გადაყვანილ იქნა ზუგდიდის მაზრის სოფელ დარჩელის ორკლასიან ნორმალურ სასწავლებელში მასწავლებლად, სადაც ორი წლის განმავლობაში დიდი თანაგრძობა და პატივისცემა დაიმსახურა იქაურ საზოგადოებაში; განსვენებული ასწავლიდა აგრეთვე პატარა ქალიშვილებს საპროფესიონალურო საგნებს, რის გამოც მოსწავლე ქალებს მეტად უყვარდათ თავისი კეთილი მასწავლებელი. როგორც ადამიანი ის იყო მშვიდი, პატიოსანი და უბრალო; ის არ გავდა ზოგიერთ დღევანდელ ქალიშვილებს, რომლებიც „მოდებით“ და სხვადასხვა თვალთმაქცური საქციელით თავს აბეზრებენ საზოგადოებას. სამეგრელოს ნოტიო ჰაერმა იქონია გავლენა იმის ჯანმრთელობაზე, სამსახურიდან ქუთაისში ჩამოსვლის შემდეგ გახდა ავად 24 დეკემბერს და 4 იანვარს განუტევა სული თავის მშობლების ოჯახში. იმისი დაკარგვით სახალხო განათლების ყანას მოაკლდა ერთი გულწრფელი და ერთგული მუშაკთაგანი.

საუკუნოდ იყოს შენი ხსენება პატიოსანო მუშაკო და კეთილო ქართველო ქალო!

**ლადო ბზვანელი.**

# ომში დაჭრილი ქართველი ჯარის-კაცები.

**ქ. კიევის ლაზარეთში.**

იობიძე აპოლონ სიმონის ძე, იოსელიანი ბიკენტი სიმონის ძე, ქუთ. გუბ. დ. სხალთუბნი (?). კაცაძე კალისტრატე პავლეს ძე, კილაშვილი გერასიმე გიორგის ძე, ქუთ. მაზ. ს: მაღლაკი. კაციტაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე, რაჭის მაზრა ს. ხოტევი. კვაჭიტაძე ისიდორე დავითის ძე, რაჭ. მაზ. ს. შარდომეთი. კვერიძე ვლასი საბას ძე, ქუთ. მაზ. ს. დიმი. კვირკველია კონსტანტინე ბესარიონის ძე, ოზურგ. მაზ. ს. ლანჩხუთი. კერცვენიძე ნესტორ ლუარსაბის ძე, ქუთ. მაზ. ს. მაღლაკი. კობახიძე ამბროსი არსენის ძე, ქუთ. მაზ. დ. სამტრედია. კეგულაშვილი დავით გაბრიელის ძე, თელ. მაზ. ს. ვარდისუბანი. კიკვაძე ნიკიტო თომას ძე, ოზურ. მაზ. დ. ჩოხატაური. კიკვაძე კარპეზ ერემიას ძე, კილაშვილი იოსები ქაიხოსროს ძე, სიღ. მაზ. კიკნაძე იოაკიმე პეტრეს ძე, შორაპ. მაზ. ს. ჩხეთი. კიკნაძე გრიგოლ ლაზარეს ძე, კირკაძე არჩილ ნიკოლოზის ძე, გორის მაზ. კირვალიძე მიხეილ სპირიდონის ძე რაჭ. მაზ. კრაოშვილი (?) მიხეილ დიმიტრის ძე, ქუთ. მაზ. კუბელაძე აბესალომ სპირდონის ძე, ქუთ მაზ. კუბეშაშვილი პარმენ იოსების ძე, რაჭ. მაზ. კუკაძე არჩილ ნიკოლოზის ძე, თფ. გუბ. კულაშვილი გრიგოლ ზაქარიას ძე, შორ. მაზ. სოფ. წყალი (?). კურდღელიძე ბიქტორ მურზაყანის ძე, შორ. მაზ. ს. ბოსლევი. კურტანიძე ტარასი ივანეს ძე, შორ. მაზ. ს. საბა. კუხიაშვილი გრიგოლ ზაქარიას ძე, ქუთ. გუბ. კობახიძე ივანე სიმონის ძე, რაჭ. მაზ. კობახიძე ვალერიან ბესარიონის ძე, ქუთ. მაზ. სოფ. ამბროლაური. კადეიშვილი (?) ერმოლოზ იოსების ძე, კიკვაძე ვარლამ იოსების ძე, კოკილაშვილი საბა, სიღ. მაზ. კოლომიძე ანდრია ალექსის ძე. კალანდაძე კირილე ანდრიას ძე, ოზურგ. მაზ. ს. ბასილეთი. კანაჩაძე სერგო ივანეს ძე, ქუთ. გუბ. კანჩაძე ტარასი დიმიტრის ძე, შორაპ. მაზ. კონწულია დავით ზაქარიას ძე, ქ. ქუთაისი. კაპანაძე სევერიანე გაბრიელის ძე, ქუთ. გუბ. კარკაძე იოსებ ივანეს ძე, ქ. ქუთაისი. კაციტაძე ისიდორე დავითის ძე, რაჭ. მაზ. ს. შარდომეთი. (კაცია) იროდი ნესტორის ძე, ს. ბაშვა ქუთ. გუბ. ლაპახაშვილი ილია ანდრიას ძე. ლორთქიფანიძე სერგო მანუჩარის ძე. ლევარიძე გერასიმე ივანეს ძე, ლეჩხუმ მაზ. ს. გუტეხერი. ლევიაშვილი (ლეკვიაშვილი) აბრამ მიხეილის ძე, სენაკ. მაზ. ლაშქარაშვილი ლავრენტი სიმონის ძე, სენაკ მაზ. მაჭარაშვილი ბაგრატ ასლანის ძე, შორაპ. მაზ. მაღრაძე ივანე ალფეზის ძე. მაისურაძე არჩილ სოფრომის ძე, რაჭ. მაზ. მაისურაძე სიმონ ივანეს ძე, რაჭ. მაზ. მოქია ისიდორე ლევანის ძე, ოზურ. მაზ. დ. ლანჩხუთი. მაღლაკელიძე მინა სილოვანის ძე, ქუთ მაზ. მამაგეიშვილი გიორგი ალექსის ძე, ქ. ქუთ. მამიტაშვილი პავლე თომას ძე, გორის მაზ. მანაგაძე ერმოლოზ თევდორეს ძე, ს. ტერჩხი. მატარაშვილი იოსებ ლუკას ძე, სიღნ. მაზ. მახარაძე გაბრიელ ანტონის ძე, ოზურ. მაზ. ს. ვანი. მგელაძე ისაკ ნიკოლოზის ძე, ს. ნიგოითი. მეძველია ნესტორ იაკობის ძე, ქუთ. მაზ. მებუკე თომა ალექსის ძე, დ. ხონი. მელაძე ნიკოლოზ თევდორეს ძე, ქუთ. გუბ. მენაბდიშვილი ზაქარია გიორგის ძე, გორის მაზ. მესხი სიმონ იოსების ძე, ქ. ქუთაისი. მეხილაძე სისო ანტონის ძე, ქ. ქუთაისი. მეგრელიშვილი იოსებ სოლომონის ძე, დ. ლაილაში. მიქავა თევდორე ოსიას ძე. ზუგდ. მაზ. მიმინოშვილი პანტელეიმონ კონსტანტინეს ძე, ქუთ. გუბ. მითაიშვილი კალისტრატე ესტატეს ძე, ქ. ოზურგეთი. მიშველიძე გრიგოლ იულიანეს ძე, ოზურ. მაზ. ს. ლიხაური. მუმლაძე დავით იოსების ძე, ნაბაძე სტეფანე გიორგის ძე, შორაპ. მაზ. ს. კორბოული. ნაკაიძე ნიკოლოზ გრიგოლის ძე, რაჭ. მაზ. ნოზაძე გიორგი პეტრეს ძე, შორაპნის მაზ. ს. ხუნევი. ნარუშვილი გიორგი კუტას ძე, სენაკის მაზრა. ნიჟარაძე გიორგი ივანეს ძე, ქუთაისის მაზრა ს. მაღლაკი. ნიკოლაძე ტერენტი სვიმონის ძე, ს. აჯამეთი. ნიკოლაძე კონსტანტინე ლაზარეს ძე, ნუცუბიძე ანტონ ფილიპეს ძე, ორბელაძე იასონ ივანეს ძე, ქუთ. მაზრა ს. ტობანიერი. ორდუხანიძე (ვარდუხანიძე) პლატონ პავლეს ძე, ქუთ. გუბ. პარკაძე ვარლამ ფილიპეს ძე, მაზ. სოფ. ტობანიერი. რატიანი კონსტანტინე, სვიმონის ძე, ქ. ქუთაისი. რეხვიაშვილი გიორგი ხარებას ძე, რიჟიანიძე რაჟდენ რომანოზის ძე. ქუთ. მაზრა. ს. ახალსოფელი. რობაქიძე სერგო მათეს ძე, რაჭის მაზ. ს. ბარეული. რუსია თეოფილე პეტრეს ძე, სენაკის მაზ. რუსია კალისტრატე ფილიმონის ძე, სენაკ. მაზ. საბაძე არქიპო დიმიტრის ძე, შორაპნის მაზ. დ. საჩხერე. სადრაძე იასონ მაქსიმეს ძე, ოზურ. მაზ. სადუნიშვილი იპოლიტე სამსონის ძე, შორაპ. მაზ. ს. სავანე. სალიქვაძე ივანე ანთიმონის ძე, ოზ. მაზ. სოპია სიმონ დავითის ძე, სოხ. ოლქი. სარგანაძე ივანე პავლეს ძე, ქ. მაზ. ს. ბუბა (?). სიხარულიძე ისაკ დავითის ძე, ოზურგეთის მაზ. სურმავა კონსტანტინე ილარიონის ძე, სენაკ. მაზ. სურმავა სოკრატ კონას ძე, სენაკ. მაზ. სურგულაძე დანიელ ივანეს ძე, ოზურ. მაზ. ს. ლიხაური. სვანიძე გერასიმე გიორგის ძე, დ. ხონი. სულაქველიძე ირაკლი ბედევანის ძე, შორ. მაზ. ს. გურეთი. ტაბახმელაშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე, სიღ. მაზ. ს. კარდანახი. ტაბიძე გიორგი პ. ფანტეს ძე (ონიფანტეს) ძე, დ. ხონი. ტობუზაშვილი გრიგოლ გიორგის ძე, გორ. მაზ. ს. სათიხარი. ტოლიაშვილი მიხეილ გიორგის ძე, გორ. მაზ. ს. მერეთი. ტაბილაშვილი ელიოზ შამილის ძე. უშვერიძე ექვთიმე ისაკის ძე. ფოჩხერაშვილი (?) სევერიანე გიორგის ძე, ქუთ. მაზ. ს. ქობული. ფანჩულიძე ვასილ ეფრემის ძე, ქუთ. მაზ. ს. ახალსოფელი. ფირცხალაიშვილი ხარიტონ ივანეს ძე. ქადარია ისაკ ალექსის ძე, სენაკის მაზ. ქუთათელაძე ალექსანდრე პოლიკარპეს ძე, დ. ხონი. ქუთათელაძე ნიკოლოზ ზურაბის ძე, ქ. ქუთაისი. ღოღობერიძე დავით ერმოლოზის ძე, ქუთ. მაზ. ს. ჯიხაიში. ყოჩიაშვილი მუშკენ (?) ზაქარიას ძე, გორ. მაზ. ს. თორმანეული. ყაზარია ისაკ ალექსის ძე, სენაკ. მაზ. შაროზია პარმენ ტარასის ძე, ქუთ. მაზ. შერვაშიძე მიტროფანე ანტონის ძე, ქუთ. გუბ. შერნითაძე ვასილ გრიგოლის ძე. ჩაჩიშვილი სტეფანე ჩიონეს (?) ძე, რაჭ. მაზ. ს. წონი. ჩაკორაია სამსონ პავლეს ძე, ზუგდ. მაზ. ჩაფიძე მინა საჩინოს ძე, შორაპ. მაზ. ს. ბოსლევი. ჩაგოვაძე ვარლამ მათეს ძე. ჩერქეზი იოსებ დიმიტრის ძე, ქ. თფილისი.

ჩიხლაძე ალექსანდრე ზურაბის ძე, შორაპნის მაზრა, ს. ზოდი. ცეცხვაძე ირაკლი გარსევანის ძე, შორაპ. მაზ. ს. ახალსოფელი. ცინცაბაძე ნესტორ ამბაკოს ძე, ოზურ. მაზ. ს. ზომლეთი. ცისკარიშვილი დავით ზაქარიას ძე, ქ. თფილისი. ციციაშვილი გაბრიელ შალომეს ძე, ქ. ქუთაისი. ცხოვრებაძე დავით ზაქარიას ძე, შორაპ. მაზ. ძაძამია გრიგოლ უტუს ძე, ქუთ. გუბ. წაქაძე ვარლამ იოსების ძე, ქუთ. მაზ. ს. სვირი. წერეთელი ალექსანდრე იასონის ძე, შორაპ. მაზ. წიბარიაშვილი ნიკოლოზ რაჟდენის ძე, ქალ. თფილისი. წიკლაური ისიდორე თევდორეს ძე, დუშ. მაზ. წიწერიშვილი დიომიდე სპირიდონის ძე, ქ. თფილისი. ჭავჭანიძე ბესარიონ ლუკას ძე, დ. ხონი. ჭაბრუა ევგენი კუთურის ძე (?), სოხუმის ოლქ. ჭანიძე ალექსანდრე კურიანის ძე (?), სენაკ. მაზ. ს. კინჩხა. ჭედლიშვილი (მჭედლიშვილი) ზაქარია ანდრიას ძე. ჭიჭინაძე ათანასე ექვთიმეს ძე, ქ. ქუთაისი. ჭიპაშვილი ამბროსი ერმოლოზის ძე, შორაპნის მაზ. სოფ. ბაზალეთი. ჭაკვიტაძე (?) ალექსანდრე ლუკას ძე, ლეჩხუმ. მაზ. ჭუმბურიძე მიხეილ ივანეს ძე, ქუთ. მაზ. ხვადაგიანი სამუელ ვასილის ძე, ლეჩხ. მაზ. სოფ. წოდიში. ხონაშვილი ტარას ერმოლოზის ძე, ოზურგეთის მაზ. სოფ. ზომლეთი, ხორაშვილი ივანე ივანეს ძე, გორის მაზ. ს. დირბი. ხვითია თევდორე კუზმილეს ძე (?), სოხ. ოლქი ს. ბარგები. ხიდეშელი ნეოფიტე სიქოს ძე, რაჭის მაზ. ს. საქალო. ხუთოშვილი დავით დავითის ძე, თელავის მაზ. ჯაჯანიძე ივანე ელიზბარის ძე, შორაპ. მაზ. სოფ. წირქვალი. ჯავახაძე ბაგრატ თადეოზის ძე. ჯაფარიძე პარმენ თადეოზის ძე. ჯარაძე ვლადიმერ ბეროს ძე, ქუთ. გუბ. ს. მაღლაკი. [illegible] ალექსანდრე გიორგის ძე. ჯავახიშვილი [illegible] ვასილის ძე. ჯაჭია [illegible] ძე, ზუგდიდის მაზრა. ჯუმუხაძე ალექსანდრე ნიკოლოზის ძე, ქუთაის გუბერნია ჯიშკარიანი რაჟდენ ნიკოლოზის ძე, ქუთ. მაზ. ჯორბენაძე ნოე მაქსიმეს ძე, ქუთ. გუბ. ს. ჩიბათი. ჯაფარიძე ივანე გალაქტიონის ძე, რაჭ. მაზ. ჯავახიშვილი გრიგოლ თევდორეს ძე. ჟუჟიკაშვილი ლუკა იუსტინეს ძე, ოზურგ. მაზ. ბარბაქაძე ვლადიმერ ამბაკოს ძე, შორაპ. მაზ. ბიწაძე სევერიანე მიხეილის ძე, შორაპ. მაზ. ბლიაძე ალექსანდრე დომენტის ძე, ქუთ. გუბ. ბარბაქაძე (ბარამიძე) სვიმონ მიხეილის ძე. გალობლიშვილი სერგო გიორგის ძე, ოზურგ. მაზ. სოფ. ჩოხატაური. დავლიანიძე სერაფიონ იორამის ძე, რაჭ. მაზრა სოფ. სხვავა. დემეტრაშვილი ანდრია ალექსის ძე, თფ მაზ. დორისაშვილი დავით სიმონის ძე, ქუთ. გუბ. ნაცვალიძე რაჟდენ სოლომონის ძე, ოზურგ. მაზ, ხიმშიაშვილი ნიკოლოზ როსტომის ძე, ქუთ. მაზ. მელაძე ნიკიფორე თევდორეს ძე, ქუთ. გუბ. დემენია პავლე პეჩუნიას ძე (?), ახ. სენაკის მაზ. კარაუკსაძე, (ქარუკსაძე) ალექსანდრე დავითის ძე, შორაპნის მაზრა. მარტიაშვილი გიორგი გიორგის ძე, თიანეთის მაზრა სოფ. ოჩბანი (?).

### დაჭრილ აფიცერ ექიმთა სია.

პოდპოლკოვნიკი თარხან მოურავი ალექსანდრე ივანეს ძე, ქალ. თფილისი. პორუჩიკი ქუთათელაძე დანიელ ერმოლოზის (ეფრემის) ძე. პორუჩიკი ცაგარეიშვილი ევგენი გაბრიელის ძე, ქ. ქუთაისი. ექიმი ზაალიშვილი ზაქარია ზაალის ძე, გორის მაზრა. კაპიტანი თორქიანი (?) გიორგი კარლოს ძე.

წერილის გამოგზავნა ამ სიაში მოყვანილთათვის შეიძლება ამ მისამართით: Кiевъ Справочное бюро о раненныхъ и больныхъ, ამა და ამ კაცს (გვარი, სახელი და მამის სახელი ჯარის-კაცებისა) ამ შემთხვევაში წერილი უმარკოდ გამოიგზავნება.

მოვაგონებთ ჩვენ ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს, რომ ქართული გაზეთები აქაც საჭიროა ღ იმედი გვაქვს ამ საჭიროებას შეიძლებს ღ გვარათ დააკმაყოფილებენ. გამოცემის გამოგზავნა შეიძლება ამ მისამართით: Кiевъ, Фундуклеевская ул., № 50 кв. 24. Студ. Мирону Топчишвили. ამ მისამართითვე შეიძლება მოგვმართონ დაჭრილთა ნათესავებმა იმ შემთხვევაში, როცა მათ სურთ დაწვრილებითი ცნობები მიიღონ. (ამ შემთხვევაში მარკით უნდა გამოიგზავნოს).

**ქ. კიევის ქართველ სტუდენტების ერთი ჯგუფი.**

# თეატრი და ხელოვნება.

**„ორი ობოლი“.**

მელოდრამა ექვს სურათად, თარგმანი ა. ცაგარლისა, წარმოდგენილი კვირას, 11 იანვარს.

ღმერთო ჩემო, რა უბედური ადამიანი ვყოფილვარ! მთელი საღამო ჰკონება ჩემი თავის გულის წყრომას და სული ჩემი, მწუხარებას მიცხადებდა. რათა მეთქი? დავეკითხე ერთსაც და მეორესაც. იმიტომ რომ, თუ შენი ოხერი თავი არ გებრალება, ჩვენ მაინც შეგვიბრალეო. ნუ თუ იმისთვის, რომ შენ რეცენზენტობა მოგსურვებია—ჩვენ ყველა არსებული, თუ არ არსებული, ცნობილი, თუ უცნობი, ფრანგის თუ იტალიელის ნაწარმოები უნდა მოვინელოთო!

თავის გასამართლებლად ვცადე ჩვენი თეატრის მესვეურთა, ბატონ-პატრონთა ლოღიკით მესარგებლნა, მაგრამ ამაოდ. ჰკუა-გონება და გრძნობაც, თითქოს შეთქმულან ჩემ წინააღმდეგო, ერთხმად მიცხადებენ: ის ადამიანებიც, რომელნიც ნაცარს ქექავენ და ნაგავს აგროვებენ სახელით კაცად ირიცხებიან, მაგრამ რომელ_ პატიოსან, კეთილშობილ საზოგადოებაში შეგიძლია შეხვიდე ნაცრითა და ნაგავით მოსვრილი! ხომ არსად? ყოფილა ვილაც დენიერი, ფრანგთა მწერალი—პარიზის ღარიბ-ღატაკთა წრის ნაცნობი და რომ გულქვა ადამიანთათვის ადამიანური გრძნობა გაეღვიძებინა დაუწერია პიესა, სადაც ყოველგვარ უბედურებას, გასაოცარ მოვლენათ, თავით ბოლომდი ყალბ გრძნობებს მოუყრია თავი. ვაი და ვიშით სულსა და გულს გიმღვრევს მთელი საღამო. იყო

დრო, როდესაც ერთი პიესაც პიესად ითვლებოდა და ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ, ნუ იტყვით, თურმე ჩვენი თეატრის ძილში ის დრო წასულა, მდაბიურად რომ ვთქვათ პატრონს ჩაბარებია, მაგრამ ჩვენი სცენის მოკეთენი მაინც არ გვეშვებიან: თუ ჩვენ გვეძინა, ალბად თქვენც გძინათ, ჩვენც ხომ თქვენი საზოგადოების წევრნი ვართო. წინაალმდეგ ვერ დაგვეჯერებია ეს ხალხი. რა ვქნათ?

ერიც რომ ისეთივე არ იყოს, როგორიც ბერი, ჩვენი დასი შემეცრდებოდა, მაგრამ იგი პირწავარდნილი შვილია თავის მეტვიურთა. პატარა, უსიტყვო, უნებო არსებანი! უბრძანებენ—უნდა გააკეთონ, თუ არა და ჰა-და!..

ჩვენ ხომ რუსეთის იმპ. რიაში ვცხოვრობთ და დალოცვილი ჩვენი თეატრიც ბიუროკრატიის ღვიძლი შვილივით უფროსის წინაშე კრთის, კანკალებს.

ხელში შესჩერებია ბატონს—დროით ლუკმა გადმომიგდოსო. თეატრი მათთვის დუქანია და რაც უცრო უკეთ ივაჭრებს, მით უფრო საყვარელია. ხოლო ვაჭრობაც არის და ვაჭრობაც! ევროპიელის ალლო, აბა ჩვენ სად შეგვფერის. ჩვენ მეწვრილმანეობა გვისწავლია. ქართველთ კაპიტალის ქვეყანა არ არის, იგი მამაპაპეულ მეურნეობას მისდევს. როდემდის? სანამ კისერს არ მოიტეხთ და ხრამში არ გადასცვივით? გვიან იქნება.

წარმოიდგინეთ ამ უბედურ პიესაშიც, რომელიც დიდიდან გაჩენისა თან დაყვა ჩვენს თეატრს—ვნახეთ მოსაწონი ნახატები. მაგ. პარიზის პოლიციის უფროსი გრაფი—გუნია. მის მიერ განსახიერებული პირი მინიმუმია გუნიას შემოქმედების, და თუ ეს მინიმუმი კარგი იყო, რად არ შეიწუხებს თავს მსახიობი და მაქსიმუმისკენ არ ივლის?

თავით ბოლომდი საკმაოდ მხატვრული სახე მოგვცა ტასო აბაშიძემ. პირადად მე მენანება, რომ ასეთი ყალბი გრძნობების განცდით იტანჯებოდა ნიჭიერი მსახიობი.

დრო და ადგილი აღარ დამრჩა, ამიტომ დანარჩენებზე არას ვიტყვი, მით უფრო, რომ კარგის თქმა არ შემიძლია. ამ პიესის შესახებ შენიშვნებს აზრი არა აქვს და სხვა მსახიობთა სცენიურ უნარზე და „შემოქმედებაზე“ ბაასის შემთხვევა სხვა დროსაც მექნება.

მხოლოდ არ შემიძლია არ აღვნიშნო, მით უფრო, რომ წინა რეცენზიებისთვის დიდებითი მასალა ვერ მომცა ქ. დავითაშვილმა. ამ საღამოს მხოლოდ ერთად ერთ მას ემჩნეოდა და გვაგონებდა, რომ პიესის მოქმედება პარიზში წარმოებს და თვალწინ პარიზელები გვიდგანან. ეს შეეხება უმთავრესად გარეგან ფორმას. მსახიობმა, გვიჩვენა გემოვნების ნასახი. ჩვენც ბოლოს და ბოლოს სხვა არაფერს მოვითხოვთ. არ გვინდა ზიზილპიპილები, სრა—სასახლეები, არამედ სრულიად უბრალო რამ: განდევნეთ თეატრიდან უმეცრება და უგემურება. რადგან ეს ორივე ტერმინი განსაკუთრებულის მნიშვნელობით არის ნახმარი და ჩვენი აზროვნებაც უფრო რუსულად არის გამართული უნდა გადავთარგმნოთ, მაშინ უფრო ცხადი იქნება: უნდა გაიდევნოს უმეცრება (безграмотность) და უგემურობა (безвкусiе). ეს არის თავი და თავი.

**შენიშვნა გრიმებისა და პარიკთა შესახებ.** პირველი უმეტეს შემთხვევაში, მშრალია თან მეტად ხაზ-გასმული და უკანასკნელი კი (პარიკები) მკვდარი, უსიცოცხლო, ჩალასავით ადევს თავზე მსახიობს. მეტი სიცოცხლე ბატონებო, მეტი სიცოცხლე!

P. S. **შეცდ. გასწორება.**

„კინის“ რეცენზიაში (იხ. № 5 კორექტორის მიზეზით გამოტოვებულია ორი სიტყვა. ლორდ მელვინი. ამის წყალობით გამოდის თითქოს პრინცი უელსისა უკადრისობდეს კინთან ხმალში გასვლას და არა ლორდ მელვინი. ნამდვილად კი შენიშვნა ეკუთნის ამ უკანასკნელს.

„**ალლუმის**“ რეცენზიაში (იხ. № 7 იქ, სადაც ბ. გუნიაზეა ბაასი გამოტოვებულია ერთი სიტყვა: „რაც“ და ეს შეცდომა უაზრობასა ქმნის. უნდა იყოს: —ნუთუ ჩვენ უნდა ვუთხრათ (ბ. გუნიას), რომ **რაც** უნდა დაავადებული იყოს გულბაათი და სხვ.

**მალატ.**

# ქართულ მწიგნობრობის ისტორიიდან

**ქუთაისის მკითხველ საზოგადოებას*).**

როგორც პატივცემული მკითხველები დაინახავენ ჩემგან ნაწარმოებ კანტორა „იმერეთი“-ს დღევანდელ განცხადებიდან (1 გვერდზე ორთავე ქუთათურ გაზეთში), მას გაექცა გაზეთის ორი დამტარებელი მიხა ჭეიშვილი და კირილე კუჭუხიძე, რომლებმაც ანგარიშის გაუსწორებლად მიითვისეს კანტორის გაზეთების ფული თოთხმეტდა თორმეტი მანეთი. გაქცეულები აქაურ რედაქციებთან და სადგურის წიგნის შკაფთან რომ ვეღარას გახდენ, რადგან თავის ხელობით ვერც მათთან არიან პირნათლად იქევ ტფილისს მიაშურეს, რომ ქუთაისში წანაგლეჯი ფულებით პირდაპირ იქაურ რედაქციებიდან გამოეწერათ გაზეთები.

ასე, არა ერთხელ გაქცეულან ხსენებული მეგაზეთეები და მათი ამხანაგები და არა ერთი და ორი თუმანი გაუტაცნიათ ჩემგან ამ 10—15 წლის განმავლობაში, მაგრამ მე მხოლოდ გუშინდელ ამბებს გაგაცნობთ, რათა მკითხველმა საზოგადოებამ იცოდეს, თუ როგორის წესით, თუ უწესობით წარმოებს მიწოდება იმ გონებრივი საზრდოსი, რომლითაც დიდი თუ პატარა, მოხუცი, თუ ახალგაზდა, ნასწავლი, თუ უსწავლელი, მაძღარი, თუ მშიერმწყურვალი, კაკარდოსანი, თუ უამნიშნებო ინტელიგენტი,—ყველა ერთნაირათ იკვებება, ყველა ასეთის თუ ისეთის ს ჩქარით ესწრაფვის დღემუდამ გაზეთის შეძენს და ცხელ-ცხელი ამბების გაგებას დღევანდელ საერთაშორისო უბედურებისა თუ ბედნიერების შესახებ. ამიტომ, ვფიქრობ და მწამს, რომ ასეთი კულტურული საქმის წარმოების არა თუ კარგი, არამედ ავიც უნდა აინტერესებდეს გაზეთების მკითხველ საზოგადოებას.

აი, ამ მოსაზრებისა გამო ვბედავ და ქართველ მკითხველს ვაუწყებ ერთ ეპიზოდს ამ საქმეზე მუშაკის ცხოვრებიდან.

როგორც უკვე მოგახსენეთ ჩემგან გაქცეულმა გაზ. დამტარებელმა თფილისს მიაშურეს საკუთარი საქმის, გაზეთების აგენტურის—მოსაგვარებლათ. აქედან მათ ერთი ცნობილი პირისაგან მოტყუებით წერილიც კი წაიღეს მის ძმასთან რათა იგი იქაურებთან თავდებათ დადგომოდა ამ საქმის მოგვარებაში.

მაგრამ ქუთაისიდან ლტოლვილებს ბედმა არც იქ გაუღიმა და აი, როგორ: იაქური რედაქციების უმრავლესობას თურმე კარგად სცნობიათ ქუთათური ფეხმარდი მეგაზეთეები და მიუხედავათ წანაგლეჯ ნაღდი ფულის შეძლევისა, არც ერთ რედაქციას შესაძლოთ არ უცვნია ახალი და მასთან საეჭვო და არა საიმედო აგენტების გაჩენა ქუთაისში; რადგანაც „არსებული აგენტურა წინეთ „კოლხიდისა და დღეს „იმერეთი“-ს ამ როლს ამ საგანმანათლებლო საქმის შესაფერათ, სამაგალითოთ ასრულებს და მას წესიერათ „ინტელიგენტურათ აწარმოებსო“,—ასე აუხსნიათ იმერეთიდან ლტოლვილებისათვის,—ამ თავიანთ პროფესიონალურ ინტერესების შეუნებელ მეგაზეთეებისათვის.

(შემდეგ იქნება)

**ის. კვიცრიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო, რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს მცირე წერილს თქვენს პატივცემულს გაზეთში. ჩვენ, ჯარის კაცები, ბრძოლის ველზედ ზოგი დაჭრილი და ზოგიც სიცივისაგან ფეხებ მოძრული, თფილისის სამხედრო საავადმყოფოდან, რიცხვით 200 კაცი, ამა წლის 3 იანვარს გამოგვგზავნეს გორის საავადმყოფოში, რომელიც ახლად დაუარსებიათ. ჩვენ, ავადმყოფები, ლაზარეთს № 1, განურჩევლად ეროვნებისა, დიდი კმაყოფილნი ვართ: საავადმყოფო ისეა მოწყობილი, რომ უკეთესი აღარ შეიძლება, საჭმელ-სასმელი სუფთა და ავათმყოფისთვის მარგებელი, თავაზიანი მოპყრობა; ექიმები ბ-ბ. კობერიძე და გაჩეჩილაძე მუყაითად მუშაობენ. სხვათა შორის დიასახლისი, მოწყალების დანი ლიზა კაპანაძ-სა, ვარინკა ნანეიშვილი ეფროსინე მუჯირიშვილი, დარიკო თავდგირიძე, მელიკო ლომაური, თამარა მაკალატია, ქეთო ტატიშვილი, ანნა პაპიტოვისა, ლუბა კორონოვსკაია, თვალიაშვილი, სოფიო ციხისთავისა, როგორც დედა შვილებს და დები ძმებს, ისე ემსახურებიან ყველა დაჭრილებს და ავადმყოფებს. ამისათვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილს ექიმებს მოწყალების დებს და განსაკუთრებით გორის ლაზარეთების პირველ—მომწყობთ, ჩვენ დაჭრილები და ავადმყოფები, დიდს მადლობას ვწირავთ და უსურვებთ გამარჯვებას.

დაჭრილების და ავადმყოფების მონდობილობით.

ანტონ ბერიძე და მიხა კოშიაშვილი.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, რომ ავტორს საშუალება მივსცეთ თავისი აზრის გამოთქმისა. პასუხის მგებლობას ავტორს ვუტოვებთ.

რედ.

*) ქუთათურმა გაზეთმა „შრომამ“ ამ წერილის დასტამბვაზე ცივი, დაუსაბუთებელი უარი მითხრა.

ა ვ ტ ო რ ი.

## საწევრო ფული.

ქ. შ. წ. კ. გ. ქუთაისის განყოფილ. გამგეობამ შეადგინა სია იმ პირთა, რომელთაც შემოიტანეს 1914 წლის საწევრო გადასახადი; სიაში არიან შემდეგი წევრები:

1. ვლადიმერ ჟიბოს ძე წერეთელი, 2. პუპი ლევანის ასული წერეთლისა, 3. ნიკოლოზ გიორგის ძე მაჭავარიანი, 4. სიო ბერიძე, 5. უგანათლებულესი თავ. დავით ბაგრატიონი, 6. სერგეი წულუკიძე, 7. ბედევან ილიას ძე ანანიაშვილი, 8. თა. თეიმურაზ გიორგის ძე აგიაშვილი, 9. გრიგოლ მკურნალი, 10. თა ასტამურ ინალიფა, 11. შალვა კორძაია, 12. მიხეილ კვიტის ძე დადიანი, 13. თავ. ტილემაკ გურიელი, 14. პეტრე იოსების ძე გოკიელოვი, 15. მარიამ იაკობის ასული გოკიელოვისა, 16. მიხეილ იოსების ძე გოკიელოვი, 17. ზაქარია პეტრეს ძე კოკოჩაშვილი, 18. ეკატერინე იაკობის ასული ბუდაგოვსკისა, 19. იაკობ ანტონის ძე მირაქოვი, 20. გაბრიელ იოსების ძე გოკიელოვი, 21. ივანე ისააკის ძე პურადაშვილი, 22. თეოდოსი არდიშვილის 23. კნეინა ევპრაქსია ერისთავისა, 24. დავით ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე, 25. კნეინა ოლღა ჩიჯავაძისა, 26. ანასტასია დიმიტრის ასული ბაქრაძისა, 27. მარიამ პიმენის ასული გაბუნიასი, 28. დესპინე რატიანისა, 29. გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი, 30. მელანია გველესიანისა, 31. ლევან პეტრეს ძე კოკოჩაშვილი, 32. დავით ნიკოლოზის ძე აბდუშელიშვილი, 33. ნიკიფორე ჯანელიძე, 34. მატრონა ჯანელიძისა, 35. ნინო ფაჩულიასი, 36. თამარ მოსეს ასული მდივნისა, 37. იაკობ იოსების ძე ჩარექოვი, 38. ელისაბედ მიხეილის ასული გრიგოლიასი, 39. ლიუცია კოკოჩაშვილისა, 40. პეტრე ივანეს ძე კოკოჩაშვილი, 41. თომა აბრამის ძე მთავრიშვილი, 42. ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი, 43. პეტრე ნიკოლოზის ძე რაფაელოვი, 44. პავლე ნიკოლოზის ძე ჩაკვეტაძე, 45. ილია გრიგოლის ძე ანჯაფარიძე, 46. სტეფანე ფეიქაროვი, 47. ვალერიან ლორთქიფანიძე, 48. მიტროფანე ლადიძე

(გაგრძელება იქნება).

## მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

**ქუთაისში მოდის:**

| | |
|---|---|
| **თფილისიდან** | 5 ს. 50 წ. დილით. |
| | 11 ს. 30 წ. ღამით. |
| **ბათომიდან** | 10 ს. 5 წ. დილით. |
| | 2 ს. 23 წ. ღამით. |
| **ფოთიდან** | 10 ს. 30 წ. დილით. |

**ქუთაისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| **თფილისში** | 7 ს. 55 წ. დილით. |
| | 1 ს. 7 წ. ღამით |
| **ბათომში** | 10 ს. 7 წ. საღამოს. |
| | 4 ს. 27 წ. დილით. |
| **ფოთში** | 4 ს. 14 წ. დღით. |


ქ უ თ ა ი ს შ ი

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტერო კურსები

გ. გ. გიგინეიშვილისა.

1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდით შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კ უ რ ს ი ა თ თ ვ ი ა ნ ი ა.

სწავლის ფული ასი მან.

თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე გ. გ. გიგინეიშვილი.

მიიღება 1915 წ. პირველ იანვრიდან ხელის მოწერა სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალ

„გ ა ნ თ ი ა დ ი“-ზე

რომელიც გამოვა ორკვირაში ერთხელ ხომლელის ხელმძღვანელობით.

წლიურათ ჟურნალი ეღირება 4 მ. 60 კ., ნახევარი წლით 2 მ. 30 კ. სამი თვით 1 მ. 15 კ., თვიურათ 50 კ., თითო ნუმერი აბაზათ.

წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეუძლიათ: ხელის მოწერის დროს—2 მან 60 კ., პირველ აპრილს—1 მან. და პირველ ივნისს—1 მან.

ქუთაისში ხელის მოწერა მიიღება: ისიდორე კვიტაიძესთან, თომა მთავრიშვილთან და ძმ. ოცხელების წიგნის მაღაზიაში, თფილისში: წ. კ. გ. საზ. მდივანთან, ბაქოში: ქართული სკოლის გამგე მეთოდე კაკაბაძესთან, ფოთში: კოწია გამყრელიძესთან, ბათომში: ხოსიკო მდივანთან, სოხუმში: ანთიმოზ ჯუღელთან და კავკავში: თ. იას. მერაბ. ლორთქიფანიძესთან.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутаисъ. Роману Спирид. Панцхава

მ ო ი კ ი თ ხ ე თ ყ ვ ე ლ გ ა ნ

„ახალი ქართლი“

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ და კ ვ ი რ ა ო ბ ი თ

ცალკე ნუმერი ერთი შაური

| დაკვეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
|---|---|---|---|---|
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი“-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ

„თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით.

ფ ა ს ი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

თ. ა. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება . . . . . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . , . . 20 „
3) მღ. პ. ცქიტიშვილი ლოცვანი, პირველდაწყებითი შკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . . . 15 „
4) ქართული მოძრავი ანბანი ქაღალდზე . 10 „
„ იგივე, კარდონზე გაკრული . . 25 „
„ იგივე, ორ და სამ-კომპლექტიანი . 50 „
5) ს. ყიფიანი. შაქარას ნაამბობი . . 3 „
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона Божiя . . . . 20 „
7) ს. გორგაძე საქართველოს ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . . . . . . 35 „

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და შკოლებში საკითხავი წიგნი, შედგ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფიანის მიერ, სურათ., მესამე გამოც., ყდით . 85 „
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყებით შკოლებისათვის, ყდით . 20 „
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . . . . . 50 „
4) არქიმ. ნესტორი (ყუბანეიშვილი,) პირველდაწყებითი დარიგება სალვთო სჯულის სწავლებაზე . . . 30 „
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . . . . . 50 „
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქართ. ლიტერატურის შესახებ. ტ. I. . 70 „
7) მისივე. იგივე. ტ. II. . . 70 „
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი, ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . . . . 20 „
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., ყდით . . . . . 15 „
10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყდით . 60 „
11) ნ. ნიკოლაძე. ჩემ პოლიტიკაზე . 10 „

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. თ.